# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

11 დეკემბერი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 235 (10 404) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა საქმე საქართველოს სიყვარულით ვაკეთოთ

Poti 91

**● საქართველოს რესპუბლიკა ახალ ცხოვრებას იმითაც იწყებს, რომ ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ საერთაშორისო სპორტულ სამყაროში — როგორც ცნობილია, ფოთი წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

● რვა თვეში უნდა გაკეთდეს ის საქმე, რასაც მაღალი რანგის სპორტულ ასპარეზობათა მოსამზადებლად ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებიც კი სამ-ოთხ წელიწადს ანდომებენ.

**● ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რადგან წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა საქართველოს რესპუბლიკის ღირსების საქმეა, გვეძლევა შესანიშნავი შესაძლებლობა, ავტორიტეტული ასპარეზობის მეშვეობით, მთელს ევროპას, და, საერთოდ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გავაცნოთ განახლებული საქართველო.**

**ბოლო** ხანებში ერთი რამ აშკარად შეიმჩნევა — ყველა ეროვნულ საქმეს ახლა სულ სხვა ენთუზიაზმით ეკიდება მთელი ჩვენი ხალხი, იგი მხარში უდგას რესპუბლიკის ახალ მთავრობას და საერთო ძალისხმევით ეჭიდება ყველა პრობლემას. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოიკვეთა გასულ კვირას. იმ დღეს ფოთში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ თენგიზ სიგუას განკარგულებით, წყალსათხილამურო სპორტში 1991 წლის ჩემპიონატისთვის მზადების ხელმძღვანელობა ევალება. უამრავი საქმეა გასაკეთებელი, ამიტომ იყო, რომ ამას წინათ, თბილისში გამართულ სამუშაო ჯგუ-

**ვიდრე სამთავრობო სამუშაო ჯგუფის გამსვლელი სხდომა გაიმართებოდა, თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს სპორტული მშენებლობები, ის ობიექტები, სადაც ჩემპიონატის მონაწილენი და სხვა სტუმრები დაბინავდებიან, ეწვივნენ აგრეთვე ქობულეთის ტურისტულ და დასასვენებელ სახლებს, აქ ჩემპიონატის დღეებში უცხოელ ტურისტთა დიდ ჯგუფს მიიღებენ.**

ფის სხდომაზე გადაწყდა, ყველა, ვისაც დაგეგმილ სამუშაოთა ჩატარება ევალება, უშუალოდ ფოთში შეკრებილიყო. იქვე შედგა სამთავრობო სამუშაო ჯგუფის გამსვლელი სხდომა. ფოთში მომავალშიც გაიმართება ასეთი თათბირები.

**თათბირზე გადაწყდა: დაუყოვნებლივ შეიქმნას ჩემპიონატის დირექცია, რომელიც ამთავითვე მოჰკიდებს ხელს ყველა იმ საკითხის მოგვარებას, რაც ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებასთანაა დაკავშირებული.**

ფაქტობრივად ეს იყო გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის, წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის, საქართველოს სპორტსახკომის, ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

— რაკი ესოდენ საპასუხისმგებლო საქმეს მოვკიდეთ ხელი, ახლა უკან დახევა აღარ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ყველაფერს თავიდან ვიწყებთ, ვადები კი ძალზე შემჭიდროვებულია, თავი არ უნდა დავზოგოთ, რა-

**თათბირზე ითქვა: ფოთის სასტუმრო „აიეტი", სადაც ჩემპიონატის უცხოელ სტუმართა დაბინავება იყო დაგეგმილი, იმის გამო, რომ თავს ვერართმევენ დაგეგმილ სამუშაოებს, გარდა ამისა, აქ საცხოვრებელი პირობები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, სამთავრობო სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სარეზერვო ობიექტად გამოცხადდა. ამასთან, მთავრობა ყველაფერს იღონებს, რომ საჭირო დაფინანსება (2 მილიონი მანეთი) სესხის სახით (ასეთი იყო მოთხოვნა) სასტუმროს რეკონსტრუქციისათვის გამოინახოს.**

თა ჩემპიონატს ღირსეულად ვუმასპინძლოთ, ასეთია მთავრობის პოზიცია — თქვა სამთავრობო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბატონმა დანიელ სიბაშვილმა. ეს სულისკვეთება გასდევდა მთელ თათბირს. ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა,

**საქართველოს სპორტსახკომი უკვე შეუდგა ელექტროტაბლოური დამონტაჟების საწყის სამუშაოებს, რომლის დამთავრება 1991 წლის მეორე ნახევარშია ნავარაუდევი.**

ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ გერონტი ქუხალეიშვილმა შეკრებილთ გააცნო იმ სამუშაოთა ნუსხა, რომლებიც უმოკლეს დროში უნდა შესრულდეს. ყოველ საკითხზე განმარტებას იძლეოდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, ორგანიზაციების წარმომადგენლები, იქვე ისახებოდა, გზები წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისათვის. არ ყოფილა შემთხვევა, მიზეზების მოშველიებით ვინმეს დაეწყო თავის მართლება, პასუხისმგებლობის არიდება, პირიქით, იყო თანხმობა და თანადგომა, რაკი საქმე მოითხოვს, წაიშალა უწყებრიობის ზღვარიც კი, ზოგიერთმა სხვა უწყების დახმარების სურვილიც გამოთქვა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ბაკურ

**საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრო დღესვე მზადაა იტვირთოს მასზე დაკისრებული მოთხოვნები.**

გულუამ, რომელიც შესანიშნავად იცნობს ფოთს და მის პრობლემებს, არაერთხელ მოიხსენია დიდი ნიკო ნიკოლაძე, კაცი, რომელმაც თავის დროზე ფოთს პირველად გაუთქვა სახელი, ღირსეული წინაპარი თითქოს დღესაც ჩვენს გვერდითაა, მისი ნათელი სახელი ძალას და ენერგიას გვმატებს.



**სამთავრობო სამუშაო ჯგუფის წევრები ეცნობიან მალთაყვის საცხოვრებელი კორპუსის რეკონსტრუქციის პროექტს.**

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ წყალსათხილამურო სპორტის საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარე შალვა პაპიძე, ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, ფოთის ჩაის კომბინატის დირექტორი, ჩემპიონატის ჩატარების ერთ-

**სამთავრობო სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სპეციალისტებს დაევალათ შეადგინონ ჩემპიონატზე ვალუტის შემოსავლის ზუსტი მონაცემები.**

ერთი თაოსანი და სპონსორი რომან მელია, კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო-სამრეწველო ფირმა „ეგრისის" დირექტორი ფრიდონ ინჯია, სამთავრობო სამუშაო ჯგუფის წევრი, გაზეთ „რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი ჯემალ ნინუა...

თათბირს უძღვებოდა და შედეგები შეაჯამა ბატონმა დანიელ სიბაშვილმა.

■ ■ ■

**თათბირის მონაწილეებს, კონკრეტულ დავალებებს და ოქმის მასალებს „ლელოს" უახლოეს ნომერში გაგაცნობთ.**



**„მალთაყვა"— ჩემპიონატის დღეებში აქ იცხოვრებენ შეჯიბრების მონაწილენი და სხვა სტუმრები.**

## საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში
● ფინალი

# იმსახურებდა, მოიგო!

**თბილისი. ვაკის სტადიონი. 9 დეკემბერი.**

**„ელმავალი" (თბილისი) — „აია" (ქუთაისი) 3:10 (0:0).**

**„ელმავალი": ჩავლეიშვილი; ხვედელიძე, მარჯანიშვილი, ჩიქვინიძე, საცერაძე; თავაძე, ქერაული; ბაკურაძე, კ. გიუნაშვილი, შუბითიძე; ნარიმანიძე, გაგნიძე, გ. გიუნაშვილი, ჯაფარაშვილი (კოკილაშვილი, 78); ლუდუშაური.**

**„აია": ე. ძაგნიძე; ყორყოლიანი, ხამაშურიძე, ტყაბლაძე, გაბრიჩიძე; ნ. ძაგნიძე, კიკაჩეიშვილი; ხახალეიშვილი (გეგელია,72), ტურძელაძე, ბაბუნაშვილი; შვანგირაძე, ოდიშარია, კაშია (ნაჭყებია, 43), რეხვიაშვილი; ზ. ლიპარტელიანი.**

**მსაჯი — გოჩა აბაშიძე (თბილისი).**

**ბურთები: „ელმავალი" — საჯარიმო (67, ჩავლეიშვილი); „აია" — 2 არეკნი (58, ნ. ძაგნიძე; 63, ე. ძაგნიძე), ლელო (69, ხახალეიშვილი).**

**გააძევეს შუბითიძე (79).**

**თამამად** შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამართლდა ქართველ რაგბის მოყვარულთა მოლოდინი: ეროვნული ჩემპიონატის ფინალი მართლაც რომ თავისი სახელის ღირსი გამოდგა. ზამთრის პირის სუსხის, წვიმით დარბილებული მოედნისა და სტუმართა რიგებში ორიოდ „ვარსკვლავის" არყოფნის მიუხედავად, თამაში მაინც ერთობ მიმზიდველი და შინაგანი დაძაბულობით აღსავსე გამოდგა.

მეტწილად ახდა ფინალისტების წარდგენისას „ლელოში" გამოთქმული პროგნოზიც, რომლის არსი იყო ის, რომ, თუ „ელმავალი" „აიას" გაშლილად ბურთაობაში ვერ აჯობებდა და მის ტანსრულსა და ასაკოვან მოკინალებს ბურთის დევნით არაქათს ვერ გააცლიდა, ქუთაისელებთან სხვაფრივ ვერას გახდებოდა.

წინასწარმეტყველება ახდა და მერე როგორ. თბილისში წინა სტუმრობისგან განსხვავებით, ქუთაისელთა რიგები თითქოს უმნიშვნელოდ შეიცვალა — გარე ნახევარმცველად



**„აიას" კაპიტანი ნუგზარ ძაგნიძე საჩემპიონო ბრინჯაოს თასით.**

**გია ახალაძის ფოტო.**

ამჯერად ნუგზარ ძაგნიძე მოგვევლინა.

თუმცა, რაღა უმნიშვნელოდ, თუკი ამ მოთამაშის გამოჩენამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ „აია", და იქნებ საქართველოს ნაკრებიც, ძაგნიძის გარეშე „ჩვეულებრივი" გუნდია, ხოლო ძაგნიძითურთ — თითქმის უძლეველი; იმ დონეზე მაინც, რომელზეც ჩვენი რაგბი დღესდღეობით იმყოფება.

არავინ იფიქროს, ამის თქმით „აიას" გამარჯვებას ვაკნინებდეთ ან გამარჯვებულთა თვალში ბეწვს ვეძებდეთ. არა, უბრალოდ, ჩვენი

იხ. მე-3 გვ.

# ყველას თავისი ხვედრა აქვს...

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სპარტაკი" (სიმფეროპოლი) 71:57 (34:23).**

**თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის დარბაზი. 8 დეკემბერი.**

**ტექნიკური უნივერსიტეტი: ლორია (21), ყიფშიძე (2), სირაძე (10), მხეიძე (23), ჩეკურიშვილი (4), ბუილლიშვილი (1), მ. მაისურაძე, კურტანიძე (10).**

**„სპარტაკი": ფედორიაკი (17), ტკაჩუკი (4), ბობი, ხოდოკოვა (7), კოროტკაია (10), კრომაროვა, რუხანენკო, ზოდოროგინა, ტიმოშუკი (5), ჟდანოვა (1), ველიშოვა (13).**

**მსაჯები: ე. ბიაკოვი და ვ. იაკოვლევი (ორივე — ლენინგრადი).**

სტუმრები და მასპინძლები ძველი ნაცნობები არიან. ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. დღესდღეობით „სპარტაკი" საკმაოდ ანგარიშგასაწევი მეტოქეა ყველა გუნდისთვის — სიმფეროპოლელები ქალთა კალათბურთის კვალობაზე მეტად ძალისმიერი სტილით თამაშობენ.

„სპარტაკმა" ამჯერადაც სწრაფი, ძალისმიერი სტილი ირჩია, თბილისელმა კალათბურთელებმა კი გაშლილი, კომბინაციური თამაში აჯობინეს, რამაც შედეგი გამოიღო და პირველივე წუთებიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. ჩვენებმა უპირატესობა პირველი ნახევრის ბოლომდე შეინარჩუნეს და ტაიმიც მოიგეს — 34:23. შესვენების შემდეგ ჩვენი გოგოები ზედმეტად თვითდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე, რამაც, როგორც იტყვიან, დათვური სამსახური გაუწია მათ და პირველ ნახევარში მოპოვებული თერთმეტქულიანი სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. თუმცა ამ დღეს სტუმრებმა მეტის გაკეთება ველარ შეძლეს. თბილისელებმა დროზე იგრძნეს, რომ ამგვარი თამაში კარგს არაფერს მოიტანდა, მოუმატეს ტემპს და საბოლოოდ დაამარცხეს კიდეც ძლიერი მეტოქე.

● ● ●

დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდი კვლავ შინ ითამაშებს — უმასპინძლებს დნეპროპეტროვსკის „სტალს", თბილისის „დინამო" კი ხვალ მიიღებს დონეცკის „სტროიტელს"[?] — „ეკრამიკას".

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# ჯერ კი „შეგვაშინეს"...

**„დინამო" (თბილისი) — „კრასნი კოტელშჩიკი" (ტაგანროგი) 107:95 (48:42).**

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 9 დეკემბერი.**

**„დინამო": უსტიაშვილი (17), სანაძე (25), თორთლაძე, დარსაძე, შენგელია (23), ფერიაშვილი, ბაქრაძე (16), დაუშვილი (18), ცხვედიანი (8).**

**„კრასნი კოტელშჩიკი". სტულენკოვი (18), გავრილკოვი (8), ზილინი (20), კუდელინი (9), ტარანოვი (21), საფრონოვი, ომელჩენკო (8), გოლუბევი (11).**

**მსაჯები: ე. ბიაკოვი და ვ. იაკოვლევი (ორივე — ლენინგრადი).**

წინა მატჩში კრასნოდარის გუნდთან დამარცხების შემდეგ ჩვენს გუნდს აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდა, მაგრამ ტაგანროგელებთან შეხვედრის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა თბილისელებს. არადა, ეს გუნდი რაიმე მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პირველ ლიგაში სტაბილურობით გამოირჩეოდა.

პირველსავე წამებზე სტუმრები დაწინაურდნენ და სულ მალე ანგარიში 12:2 გახდა მათ სასარგებლოდ. მალე ათქულიან მარაგს სტუმრებმა კიდევ 6 შესძინეს და სხვაობამ ანგარიშში 16 ქულას მიაღწია. დინამოელთა მწვრთნელებმა დროულად აიღეს წუთშესვენება და სურათიც ნელ-ნელა შეიცვალა. ჯერ იყო და უსტიაშვილმა ზედიზედ სამჯერ ზუსტად ტყორცნა სამქულიანი ხაზის გარედან, მერე მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და... პირველი ტაიმი თბილისელთა გამარჯვებით — 48:42 დამთავრდა.

მეორე ნახევარში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ანგარიშში სხვაობა თბილისელთა სასარგებლოდ შესაძლოა უფრო დიდი ყოფილიყო, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ — ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია, მისმა წევრებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ, ამისათვის კი, მოგეხსენებათ, საჭიროა დრო და სიბეჯითე.

# როგორც ნარდის წესია

**სპორტის** ნებისმიერი სახეობის შესაბამის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანება რომ ერთადერთი საშუალებაა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისა და ამ გზით სპორტსმენთა კლასის და შედეგის ამაღლებისა, ეს საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებამაც დაადასტურა. ჯერ ორი თვე არ გასულა, რაც ამ სასიამოვნო ფაქტის შესახებ ეუწყათ ნარდის ქართველ გულშემატკივრებს და აი, ქართველ მონარდეებს საშუალება მიეცათ ემასპინძლათ ნარდში პირველი საერთაშორისო ტურნირისათვის.

შვეიცარია, ჰოლანდია, ამერიკა, გერმანია, ფინეთი, დანია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი — აი, ის ქვეყნები, რომელთა წარმომადგენლებიც ქართველ მონარდეებთან ერთად იბრძოლებენ ტურნირის მთავარი ჯილდოსთვის — ოქროს კამათლებისა და 12 ათასი დოლარისათვის — თუ უცხოელი სპორტსმენი გაიმარჯვებს, ხოლო თუ ადგილობრივმა მონარდემ მიაღწია წარმატებას — ამავე ოდენობის მანეთებისთვის.

მაგრამ მარტო უხვი საპრიზო ფონდი როდი იყო მიზეზი, როცა გერმანიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა ალფრედ შვარცმა განაცხადა: „რეიტინგით საქართველოს ღია ჩემპიონატი პირველი კატეგორიის ტურნირიაო“. ბატონ შვარცს ალბათ, ტურნირის მონაწილეთა ტიტულებიც ჰქონდა მხედველობაში. მართლაც, 128 მონაწილეს შორის არიან 1990 წლის მსოფლიო თასის მფლობელი ამერიკელი ალან შტეფანი, მისი თანამემამულე, მსოფლიო რეიტინგით მეორე მონარდე ტიმ სერგესი, 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფილიპ მარმონშტაინი (გერმანია), ვენეციის ბროლის თასის მფლობელი ტომას ლამპერსი (აშშ), ჰოლანდიის ჩემპიონი ჟან ვან ინგენი, ფინეთის ჩემპიონი და ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პეტრი პიეტილა, ამერიკის მრავალგზის ჩემპიონი ჯიმ ბაროფი და სხვები.

შეჯიბრების პირველ ტურში, რომელსაც ჩაის სახლმა უმასპინძლა, შეხვედრები მეტად დაძაბულად წარიმართა. მონაწილენი 32 ჯგუფად დაიყვნენ (ჯგუფში — 4 კაცია). ყველაზე ძლიერი მეთხუთმეტე ჯგუფი აღმოჩნდა, სადაც თავი მოიყარეს ჯიმ ბაროფმა, ტიმ სერგესმა და ორმა ქართველმა — საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ სურგულაძემ და სპარტაკ გიგიბერიამ. ბრწყინვალედ ითამაშა მ. სურგულაძემ, რომელმაც ჯერ მსოფლიოს № 2 მონარდე სერგესი დაამარცხა — 11:6, შემდეგ ს. გიგიბერიას სძლია და გავიდა მომდევნო ეტაპზე. ს. გიგიბერიამ მოუგო ამერიკის ჩემპიონს ბაროფს 11:10. მოულოდნელი იყო საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მონარდის მერაბ გაჩეჩილაძის გამანადგურებელი მარცხი ზვიად წერეთელთან 0:11. ფირმა „ვესტას“ დირექტორმა მერაბ კიკალეიშვილმა („ვესტა“ ამ ტურნირის მთავარი სპონსორია) დაამარცხა ჰოლანდიის ჩემპიონი ჟან ვან ინგენი 11:4, რაც თავისებური რევანში იყო — მერაბმა ცოტა ხნის წინათ, მარცხი იწვნია ჰოლანდიელ მონარდესთან გერმანიის ღია ჩემპიონატში.





მონარდეთა საერთაშორისო ტურნირის ფრაგმენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პარალელურად მიმდინარეობს შეჯიბრებები გრძელ ნარდში, რომელშიც მონაწილეობის სურვილი ოთხმა უცხოელმა მონარდემაც გამოთქვა.

ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც ნარდის წესია, შეხვედრები მოულოდნელობებით აღინიშნა, ჩვენც თავს ვიკავებთ წინასწარი პროგნოზებისგან.

გუშინ დამთავრდა პირველი ტურის შეხვედრები და გაირკვა ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა ვინაობა.

**ჟაბა ლეონიძე**

# „მე ოთხწლიანი ზღვარი შენ წაშალე...“

**გადაწყვეტილება უცვლელია: ელისო ბედოშვილი გაისად მხოლოდ ორ შეჯიბრებაში იასპარეზებს — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და შემდეგ, როგორც არაერთი სპორტსმენი, დაემშვიდობება გურზებს, სახტუნელასა და რგოლებს — იმ ტანვარჯიშულ იარაღებს, რომელთაც ესოდენ დიდი სიხარული მოუტანეს მას, რომელთაც გაულამაზეს და გაუმრავალფეროვნეს ცხოვრება. თუმცა განშორება სამუდამო არ იქნება, ორიოდ წელიც და, როგორც თავად ელისომ თქვა, იგი კვლავ დაუბრუნდება „თანშეზრდილ“ იარაღებსა და ფერად ხალიჩებს, მაგრამ არა როგორც სპორტსმენი, არამედ, როგორც მწვრთნელი. პედაგოგობა კი მისი ძველი ოცნებაა...**

— **ფიზკულტურის** ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აუცილებლად მწვრთნელად ვიმუშავებ, — ამბობს ელისო, — მჯერა, არ გამიჭირდება. ჯერ ერთი, თავად პროფესიონალი სპორტსმენი ვარ, მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშები და შეკრება-შეჯიბრებები არ მაძლევდნენ ლექცია-სემინარებზე სისტემატური დასწრებისა და დისციპლინების სრულყოფილად შესწავლის საშუალებას, სამომავლოდ აუცილებლად შევიძენ საჭირო თეორიულ ცოდნას. უამისოდ ხომ არც ერთ სპორტის სპეციალისტს არა აქვს მსოფლიო მიღწევებზე ოცნების უფლება, რადგან თეორიის უგულებელყოფით, მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით შეექიდო მსოფლიო რეკორდებსა და ტიტულებს, — ეს ილუზიაა.

● **მაგრამ შენ კიდევ ბევრი დაგრჩა გასაკეთებელი, როგორც სპორტსმენს, მწვრთნელ ელისო ბედოშვილისთვის კი ერთი საშტატო ერთეული საქართველოს ნებისმიერ სატანვარჯიშო სკოლაში ყოველთვის გამოიძებნება...**

— არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ ორ დიდ ტურნირში ვიასპარეზებ და შემდეგ პატარა, გრძელნაწნავებიან, მოცქრიალე გოგონებს გადავცემ ჩემს ცოდნა-გამოცდილებას.

● **მსოფლიო თასი, ევროპის ჩემპიონატის, კორეისა და შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირების ოქროს მედლები, გერმანიის ტრადიციული ტურნირის „ვერცხლი“... — ამ ჯილდოთა მოგებას ერთი არასრული წელი მოანდომე, მანამდე კი რაიმე სერიოზული გამარჯვებები არ გქონია. მაინც რაშია ამ უეცარი „აფეთქების“ საიდუმლო?**



ელისო ბედოშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

— თავადაც ვერ ამიხსნია, მარტოოდენ ყოველდღიური შრომა, ვარჯიში და არჩეული სპორტის სახეობის ფანატიკური სიყვარული რომ არ არის დიდი გამარჯვებების გარანტია, ეს ვიცი. ეტყობა, არის ჩემში ჩემთვისვე უცნობი მუხტი, რომელმაც გუშინდელი უპერსპექტივო მხატვრული ტანმოვარჯიშე, ზოგჯერ საქართველოს ნაკრებშიც რომ არ მოეძებნებოდა ადგილი, მსოფლიო თასის მფლობელად მაქცია.

● **ზემოთ ჩამოთვლილ ტიტულებს მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობა აკლია..**

— წინასწარ ძნელია განჭვრეტა, მაგრამ თუ ჩვენმა ექსპეულმა დღევანდელი სპორტული ფორმა შეინარჩუნა, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალსაც მოვიგებ...

● **ოთხი წელია, საქართველოდან არც ერთ მხატვრულ ტანმოვარჯიშეს არ უასპარეზია საკავშირო ნაკრებში. არადა, ეს ცოტა უჩვეულოა მხატვრული ტანვარჯიშის სახელგანთქმული ქართული სკოლისთვის. ეს „ოთხწლიანი ზღვარი“ შენ წაშალე...**

— ის, რომ ამ ოთხ წელიწადში მხოლოდ მე მომიხდა საქართველოს ღირსების დაცვა საერთაშორისო სარბიელზე, დიდი პატივია ჩემთვის. ამავდროულად, ეს უმძიმესი მოვალეობაცაა. ვცდილობ ღირსეულად ვატარო ეს ტვირთი. გულშემატკივრებმა განსაჯონ, ვახერხებ თუ არა ამას.

● **სპორტსმენთა უმრავლესობას ჰყავს საკუთარი რჩეული და ოცნებობენ, ჰგავდნენ მას. შენ თუ გინატრია, დამსგავსებოდი რომელიმე ცნობილ სპორტსმენს?**

— მათ ორეულობას ალბათ არც ვინატრებდი, მაგრამ ძალიან მიყვარს ირმა ყიფშიძე, გალინა ბელოგლაზოვა — დიდებული ტანმოვარჯიშეები იყვნენ. მიყვარს, აგრეთვე, ფიგურული ციგურაობა და სპორტის ამ სახეობის დიდოსტატები — კატარინა ვიტი და ბრაიან ბოიტანი. სხვათა შორის, ბავშვობაში არჩევანი ფიგურულ ციგურაობაზე რომ შემეჩერებინა, ალბათ ახლა დიდად არ დამწყდებოდა გული.

● **ცოტა ხნის წინათ განაცხადე, თუ უახლოეს მომავალში „საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებმა შეძლო საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლა, ასჯერ რომ მქონდეს სპორტისთვის თავი დანებებული, ასმეერთედ დავუბრუნდები სარბიელს და, თუ გუნდს დავჭირდი, უსათუოდ გამოვადგებიო. ალბათ, არ შეგიცვლია გადაწყვეტილება.**

— არც შევიცვლი და, ღმერთმა ქნას, მალე ჩემი ნათქვამი ამხდენოდეს!

ესაუბრა **ლევან ჟავახიშვილი**

## SOS

**დაისვა შეკითხვები, რომლებიც „ლელოს“ კონტროლზეა!**

# ახლა დურგალიც ველარ შველის...

დიდი ხანია, საერთო სენად იქცა — სპორტული ბაზების მშენებლობა ან პირწმინდად იკრძალებოდა, ან დაიწყებოდა და... კაცმა არ იცის, რამდენი ხნით დააკონსერვებდნენ, ან თუ აგება ეღირსებოდა, უმალვე გამოდიოდა მწყობრიდან. მერე სპორტული ბაზის საექსპლუატაციოდ გადაცემის მოლოდინს ახალი ათვლა სარემონტო სამუშაოებით იწყებოდა.

დაახლოებით ეს ეტაპები გაიარა აჭარის განათლების სამინისტროს სათამაშო სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზმაც, რომელიც იმთავითვე შესანიშნავ ადგილზე დაიგეგმა ბათუმში. შენობა, როგორც იქნა, 1986 წელს დამთავრდა, გაიხარეს მოზარდებმა, მშობლებმა, სპეციალისტებმა, რომლებიც ახალი სპორტული კერის აღმოცენებას ბათუმში ნიჭიერი ხელბურთელების და კალათბურთელების, ფეხბურთელების თუ ფრენბურთელების, ბადმინტონის მოყვარულთა დაოსტატებას უკავშირებდნენ. გავიდა ცოტა ხანი და, როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტულ კომპლექსს ბევრი რამ „ასტკივდა“. ყველაფერს ეშველებოდა, ყველაფერს მოევლებოდა, თუნდაც კეთილი ხალხის დახმარებით, მაგრამ, აი, მთავარს — ვეებერთელა დარბაზის იატაკს ნამდვილად ვერაფერი მოუხერხეს — მალე იატაკი ისე მოირყა, რომ დაწოლას ვეღარ გაუძლო, ბევრგან ჩატყდა. ხომ გინახავთ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის, ან სხვა მაღალი რანგის ასპარეზობისას მწვანე მოედანზე „მოლის შემკეთებლები“ რომ გავლენ ხოლმე სარბიელზე და ამოგლეჯილ ადგილებს ახალი ბელტით ავსებენ... თურმე სწორედ ასე მოხდა შარშან, ხელბურთში რესპუბლიკის ჩემპიონატის დღეებში, რომელიც ბათუმში ჩატარდა და შეჯიბრებას ზემოხსენებული დარბაზი მასპინძლობდა. მაშინ მოედნის ხაზთან თურმე იდგა დურგალი ფიცრის ნაჭრებით, ხერხით, ლურსმან-ჩაქუჩით და ჩატყდებოდა თუ არა იატაკი, თამაშს შეწყვეტდნენ მსაჯები, არენა ეთმობოდა დურგალს, რათა მას ხელდახელოდ შეეკეთებინა სარბიელი. დიახ, ზუსტად ასე ყოფილა, არაფერს ვაჭარბებთ.

ახლა რა დღეშია დარბაზის იატაკი? უარეს მდგომარეობაში, ვიდრე შარშან. კარგა ხანია სპორტკომპლექსი საერთოდ გამოკეტილია, როგორც იტყვიან, მართლაც ხანმოკლე გამოდგა ბათუმელთა სიხარული. ახლა წამხდარ საქმეს, სამწუხაროდ, ხელმარჯვე დურგლის ოსტატობაც ვეღარ შველის.

„ლელო“ მოითხოვს პასუხს ორ შეკითხვაზე: 1. ვინ შეასრულა იატაკის დაგების სამუშაოები, დაცულია თუ არა საპროექტო მოთხოვნები (იატაკქვეშა ვენტილაცია, იატაკის საყრდენი ძელებისა და იატაკის ფიცრის სისქე, მასალის ხარისხი და ა. შ.); 2. ვინ ჩაიბარა ნაგებობა (კომისიის წევრთა, მშენებლობაზე ზედამხედველთა გვარების ჩვენებით)?

**ვფიქრობთ, ექსპერტიზას წამოჭრილი საკითხების დადგენა არ გაუჭირდება.**

**პასუხს აჭარის განათლების სამინისტროდან დაველოდებით, შეკითხვები გაზეთის კონტროლზეა.**

**„ლელოს“ სპეც. კორ.**

**ბათუმი.**

**თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში**

# უფრო და უფრო საინტერესო

**სპორტკომპლექს** „ქარიშხალში“ 8 და 9 დეკემბერს გამართულმა მატჩებმა გამოავლინეს ის 16 გუნდი, რომლებიც მერვედფინალებში გააგრძელებენ ბრძოლას თბილისის ჩემპიონის ტიტულისათვის მინიფეხბურთში.

გათამაშების შემდეგ წრეში გასვლის უფლების მოსაპოვებლად დაძაბული და უშელავათო ორთაბრძოლები გაიმართა. ამ მხრივ გამოირჩეოდა „ალმაშენებლისა“ და „საბურთალო-IV“-ის მატჩი. ამ უკანასკნელს მერვედფინალში გასასვლელად მარტო მოგება აძლევდა ხელს, „აღმაშენებელი“ კი მხოლოდ დიდი ანგარიშით მოგებით ინარჩუნებდა თეორიულ შანსს შემდგომ ეტაპზე ბრძოლის გასაგრძელებლად. მატჩი მეტად უშელავათო და სანახაობრივად მიმზიდველი გამოდგა. საბურთალოელები ორჯერ აღმოჩნდნენ მდევრის როლში — ისინი აგებდნენ შეხვედრას ჯერ ანგარიშით 0:1, შემდეგ 1:2, მაგრამ მაინც შეძლეს ძალების მოკრება და მონდომებამ შედეგიც გამოიღო: მათ ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ წინაც გაიჭრნენ. შეხვედრა დამთავრდა საბურთალოელთა გამარჯვებით — 3:2.

პირველი მარცხი განიცადა თბილისის ჩემპიონმა „საბურთალო-1“-მა „საბურთალო“-II“-თან შეხვედრაში. „საბურთალო-1“-ს აკლდა რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, რამაც უდავოდ იმოქმედა მისი თამაშის ხარისხზე. თბილისის ჩემპიონები დამარცხდნენ ანგარიშით 1:3. მაგრამ წინა ორი მოგებული შეხვედრის წყალობით მაინც გავიდნენ გათამაშების შემდეგ წრეში.

აღინიშნა „ასტრონომიული ანგარიშებიც“ — „საბურთალო-III“-ის გამარჯვება „გლდანულასთან“ 13:1 და „ვერა-II“-ის მარცხი „დიღუბე-I“-თან 1:10. ამ შეხვედრაში დიღუბელმა ფანცულაიამ 6 ბურთი გაიტანა და დაწინაურდა კიდეც ბომბარდირთა დავაში. მის ანგარიშზე ახლა 14 გატანილი გოლია.

გაცნობებთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: „ჩუღურეთი“ — „პორტოფინო“ 5:1; „ვერა-I“ — „ვაჟა-ფშაველა“ 5:1; „ძველეთი“ — „ნაძალადევი-I“ 3:0, „ნაძალადევი-II“ — „საბურთალო-V“ 4:2; „ფონიჭალა“ — „ვაკე-I“ 3:7; „დიდუბე-II“ — „ბრაინერ-შნაინერი“ 3:0, „ნავთლუღი“ — „დიღომი“ 3:4; „ოქროსუბანი“ — „ქართლი“ 2:2.

მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ. „ძველეთი“ — „ვაჟა-ფშაველა“, „ვერა-I“ — „ქართლი“, „საბურთალო-II“ — „ნავთლუღი“, „ჩუღურეთი“ — „ვერა-II“, „ოქროსუბანი“ — „დიღომი“, „დიდუბე-II“ — „ნაძალადევი-II“, „დიდუბე-I“ — „საბურთალო-I“, „ვაკე-I“ — „საბურთალო-IV“.

მერვედფინალური მატჩები გაიმართება 15 და 16 დეკემბერს სპორტკომპლექს „ქარიშხალში“. შეხვედრები დაიწყება 13 საათზე.

**მიხეილ აბაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმსახურებდა, მოიგო!

(დასასრული)

რაგბისთვის სამწუხარო ფაქტს აღვნიშნავთ!

გარდა ამისა, აბა, ვინ გაამტყუნებს გუნდს, რომელიც ისეთი ტაქტიკით თამაშობს, როგორსაც არსებული რესურსები შეაძლებინებს. პირიქით, აქ გუნდის მწვრთნელი და მოწინავე მოთამაშეები საქებიც არიან, რაკილა ხერხი სწორად აურჩევიათ და მეტოქისათვის ჭკუით უჯობნიათ.

დიახ, „აიამ“ ხერხითა და ჭკუით მოიგო. რამდენადაც ბევრი სირბილი ხელს არ აძლევდა, თანაც უპირატესობა მეტწილად მეტოქეს ეპყრა ხელთ, „აია“ თავს მედგრად იცავდა. როცა გუნდს შეტევის შესაძლებლობა მიეცემოდა, ბურთი ნ. ძაგნიძის „იქით“ ვეღარ აღწევდა — რიონისპირელთა ლიდერი ან თავად „გაძვრებ-გამოძვრებოდა“, ანაც დიდებულ ტაქტიკურ დარტყმებს ასრულებდა. რაც შეეხება მორკინალებს, იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხშირპაუზებიან თამაშში, თითქმის მთელი შეხვედრა რომ მიმდინარეობდა, ისინი არაფრით ჩამორჩნენ უფრო პერსპექტიულებად (ნეტავი რატომ?) შერაცხულ თბილისელებს და მოლებში, რაქებში და მოთამაშეთა ზედახორებში ბევრჯერაც მოიპოვეს ბურთი. დაბოლოს, ქუთათურები დროდადრო არაჩვეულებრივ ფხასაც იჩენდნენ: საჭირო იყო და ზედახორაში ბურთს „ჩაკლავდნენ“; სულის მოთქმა და მეტოქის ქინის დაცხრომა დასჭირდებოდათ და თამაშის განახლებას ოსტატურად გააჭიანურებდნენ ხოლმე.

გარდა ამისა, „აია“ მეტოქის შეცდომებსაც უდარაჯებდა. მათი გამოყენების დრო კი გუნდს იმ 50-წუთიანი ომის გადახდის შემდეგ დაუდგა, რომლის დროსაც „ელმავალი“ უფრო მიმზიდველად თამაშობდა.

საქმე ისაა, რომ ჩავლეიშვილის მცველად გადაყვანისა და თავაძის გარე ნახევარმცველად დაბრუნების შედეგად „ელმავალმა“ ბოლო ხანს ხელი აიღო შარშან და წელს შეგულებულ „მრისხანე“ იარაღზე, „მაღალი დარტყმა დამჭერზე შემდგომი თავდასხმით“ რომ ჰქვია, და ბურთის ხელით გათამაშებას გაუგო გემო. ალბათ შეტევის ეს ხერხი იქნებოდა ის ერთადერთი საშუალება, რომლის გამოყენებაც თბილისელებს ფინალში ხეირს დააყრიდა, მაგრამ, მათდა სავალალოდ, ასე ვერ მოხდა: „ელმავლის“ უკანა ხაზს შეტევისას გასაქანი არ ჰქონდა, ერთთავად მეტოქის მწყობრში „ეფლობოდა“. ერთი სიტყვით, ან ნახევარმცველებს შეჯგუფებებიდან ბურთი მთლად კარგად ვერ გამოჰქონდათ, ანაც ქუთაისელი მცველები იდგნენ მეტოქეებთან ძალზე ახლოს.

ასე იყო თუ ისე, ქუთაისელები მოთმინებით ელოდნენ თავიანთ შანსს და 50 წუთის შემდეგ იგი მართლაც მიეცათ: მართალია, ათმა რიონისპირელმა „ელმავლის“ შერკინება მის ლელოში ზედიზედ ორჯერ ძალით ვერ „შეათრია“, მაგრამ იქვე იერიშის საეჭვო პერსპექტივით ამჩატებულ მასპინძლებს რაქში ბურთი „მოჰპარა“ და ნ. ძაგნიძემაც, შესვენებამდე ორჯერ გაცუდებული დარტყმის შემდეგ, მესამედ უნაკლოდ დაარტყა არეკნით — 3:0.

ხუთიოდ წუთში იმავე ძაგნიძის მორიგმა ტაქტიკურმა დარყმამ თბილისელებს ისევ თავგზა აუბნია: მათ თავიანთი ლელოდან ჯერ თომც იერიში წამოიწყეს, მერე კი დაიფიქრეს, მაგრამ ბურთი კიდეზე ვერ გადააგდეს; იგი ნუგზარ ძაგნიძის უმცროს ძმას — ემზარს მიუვიდა და მანაც არეკნი შეაგდო — 6:0 „აიას“ სასარგებლოდ.

შეხვედრის ბოლომდე ოცი წუთი რჩებოდა. „ელმავალმაც“ კიდევ ერთი ლამაზი კონტრიერიში წამოიწყო, რომლის დროსაც სტუმრები უდიერად მოეპყრნენ მარჯანიშვილს. ჩავლეიშვილმა საჯარიმო კი შეაგდო, მაგრამ უმალ ნ. ძაგნიძემ კიდევ ერთხელ სცადა არეკნით ბურთის გატანა. ბურთი კარს ასცდა, მაგრამ თბილისელებმა საოცრად უგულისყუროდ (?!) შეასრულეს 22-მეტრიანი დარტყმა, ბურთი თვალსა და ხელს შუა „აიას“ ვეტერან ნაჭყებიას აალებინეს, მან კი ახალბედა ხახალეიშვილს გაუკვალა გზა ლელოსკენ — 10:3.

აქ „ელმავალმა“ მართლაც თავი გამოიდო და ბოლო ათი წუთის მანძილზე „აიას“ ნახევარს აღარ მოშორებია. თბილისელთა სასარგებლოდ ამ მონაკვეთში შვიდი (!) საჯარიმო დაინიშნა, მაგრამ რკინიგზელები ჯიუტად არ ურტყამდნენ კარში, ბურთს ათამაშებდნენ და მაინცდამაინც ლელოს უმალ გატანას ეშურებოდნენ. თუმცა რაღა დროს? ნეტავ როგორღა აპირებდნენ „აიას“ შვიდქულიანი უპირატესობის ერთბაშად გაბათილებას?

ასე იყო თუ ისე, თბილისელები საჯარიმოებს ათამაშებდნენ და ბურთს ერთთავად ძმებ გიუნაშვილებს ხელთ აჩეჩებდნენ. ძმებმა მართლაც კარგად ითამაშეს, უფროსმა — გიამ კი, ხუადესა და რაფავას არყოფნისას, მეტოქეებს გვარიანადაც აჯობა კიდიდან მოწოდებული ბურთისათვის ბრძოლაში და სხვაფრივაც გამოიჩინა თავი.

და მაინც უეჭველია, რომ მასაც და მის თანაგუნდელებსაც კიდევ დიდხანს ეხსომებათ ეს ფინალი, რომლის მოგების იმედიც ესოდენ ჰქონდათ, მაგრამ რომელიც ალალად მოიგო გუნდმა, ვინც ამას მეტად იმსახურებდა!

**ზაალ გიგინეიშვილი.**



საქართველოს 1990 წლის ჩემპიონი — ქუთაისის „აია“. დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): თამაზ ოდიშარია, ზვიად ლიპარტელიანი, ზურა რეხვიაშვილი, ტიხონ ხახალეიშვილი, ბადრი შვანგირაძე, ალექსანდრე ნაჭყებია, გუგა ბაბუნაშვილი, ემზარ ძაგნიძე, ბათლომე ხამაშურიძე, ნუგზარ ძაგნიძე (კაპიტანი), რამაზ ყანჩაველი (ქუთაისის რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე), დუგლას კავთელაშვილი (მთავარი მწვრთნელი); სხედან: პაატა ტყაბლაძე, ხვიჩა გეგელია, კახა გაბრიჩიძე, ოლეგ ქორქოლიანი (თასით), ზურაბ კიკაჩეიშვილი, თენგიზ ტურძელაძე, ხვიჩა კაშია, ანზორ ალხაზაშვილი (ადმინისტრატორი). გია ახალაძის ფოტოები.



თბილისელ იგორ ქერაულს ბურთი შერკინებიდან გააქვს, ქუთაისელები — ზურაბ კიკაჩეიშვილი და ნუგზარ ძაგნიძე (უკანა პლანზე) კი „ელმავლის“ შეტევის „ჩასახშობად“ ემზადებიან.

# საფეხბურთო პარალელები

რა დროც უნდა იყოს გასული ფეხბურთელთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატიდან, ორი ისეთი ავტორიტეტის აზრს, როგორებიც ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი და გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი გახლავან, მუდამ გარკვეული შემეცნებითი ღირებულება აქვს. მით უფრო, როცა ზოგ საკითხში საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამენ და მაინც თითქოს ორივე მართალია.

ეს ინტერვიუ ფეხბურთის ზემოხსენებულ სპეციალისტებს ჟურნალისტებმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოართვეს. აველანჟეს ესაუბრა ჟურნალ „ოლიმპიკ რევიუს“ წარმომადგენელი, იოზეფ ბლატერს კი ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. ჩვენ მხოლოდ გავაერთიანეთ კითხვები, ვინაიდან ჟურნალისტებს, ფაქტობრივად, ერთი და იგივე პრობლემები აინტერესებთ.

**● ახლა, როცა საკმაო დრო გავიდა მსოფლიო ჩემპიონატიდან, რა აზრისა ხართ მის შესახებ?**

**ჟ. ავελანჟი:** ვფიქრობ, ჩემი პასუხი საერთო აზრისგან განსხვავებული იქნება. როგორც ოფიციალური პირი, ვალდებული ვარ, რეალისტი ვიყო და მოვლენები ემოციების გარეშე შევაფასო. ორგანიზაცია ბრწყინვალე გახლდათ, სტადიონები — საუკეთესო, თვით ფეხბურთის დონე კი დამაკმაყოფილებელი.

**ი. ბლატერი:** ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩატარდა, თუმცა, ახალი ტენდენციები ვერ გამოვლინდა. გუნდები უფრო მეტად მიღწეულის შენარჩუნებას ცდილობდნენ და ამის გამო, ნაკლებად ფიქრობდნენ გოლების გატანაზე. ეს პრობლემა ძალზე მაწუხებს.

**● კმაყოფილი ხართ თუ არა ფინალური მატჩით?**

**ჟ. აველანჟი:** ფინალი ისეთივე საინტერესო იყო, როგორც მთელი ჩემპიონატი.

**ი. ბლატერი:** ჩემი შეშფოთება მეტწილად სწორედ ამ მატჩის მსვლელობიდან გამომდინარეობს. არგენტინელები განზრახ არ ფიქრობდნენ შეტევაზე, დასავლეთგერმანელები კი მათთვის უჩვეულო, ასეთ სიტუაციაში ხშირად ცდებოდნენ.

**● პრესაში მატჩისშემდგომი პენალტების პრაქტიკას საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებენ. თუ არ ვცდებით, საზოგადოებრივი აზრიც დაახლოებით ასეთია...**

**ჟ. აველანჟი:** ჩვენ ეს ვარიანტი ოპტიმალურად მოგვაჩნია, შემოგვთავაზეთ უკეთესი სისტემა, იმასაც განვიხილავთ და ჩვენს მოსაზრებებს მოგახსენებთ.

**ი. ბლატერი:** ჩემპიონატის ფორმულამ, ვფიქრობ, ვამოცდა კარგად ჩააბარა და არ უნდა შეიცვალოს. მატჩისშემდგომი პენალტები? ისინი, ჩემის აზრით, ძალთა შეფარდების ლოგიკურ შედეგს ასახავენ. სხვა საკითხია, რომ ბევრ გუნდში, უბრალოდ, არ იციან პენალტების დარტყმა. მაგრამ ეს უკვე მწვრთნელთა პრობლემაა. ამავე დროს, ვინ უშლის ხელს თავდამსხმელებს გოლის გატანას ძირითად ან დამატებით დროში? ისწავლონ ზუსტი დარტყმა, და პენალტების საკითხიც თავისთავად მოიხსნება.

**● ბევრი გუნდი ჩემპიონატის მეორე ნახევარში დაღლილი ჩანდა. უმჯობესი ხომ არ იქნება ტურნირის სექტემბერში ჩატარება?**

**ჟ. აველანჟი:** გულახდილად უნდა გითხრათ, ვერ ვხედავ ამის აუცილებლობას.

**ი. ბლატერი:** არ არის გამორიცხული. ფიფა სერიოზულად შეისწავლის ამ პრობლემას. ალბათ გახსოვთ, როგორ შეაწუხა ფეხბურთელები წლეულს სიცხემ. 1991 წელს შეიძლება ამ წინადადების განხილვა იმ ვარაუდით, რომ მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში სექტემბრისთვის გადავიტანოთ.

**● ბოლო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნაკლი, ჩვენის აზრით, სუსტი მსაჯობა იყო. რას ფიქრობთ ამაზე, როგორ აფასებთ არბიტრთა საქმიანობას?**

**ჟ. აველანჟი:** მსაჯები მეტწილად აკონტროლებდნენ სიტუაციას ისე, როგორც ამას ფიფა მოითხოვდა. ისინი წესებს იყენებდნენ იმდაგვარად, რომ არცერთი შეხვედრის ღირსება არ შეულახავთ. მსაჯთა სიმკაცრემ გარკვეულწილად შეუწყო ხელი იმას, რომ ჩემპიონატის დღეებში უსიამოვნო ინციდენტები არ მომხდარა. მოკლედ რომ ვთქვათ, მსაჯობა იტალიაში სამაგალითო იყო და არბიტრების მისამართით საყვედური არ გვეთქმის.

**ი. ბლატერი:** მე კომენტარებისგან თავს შევიკავებდი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ფიფა-ს გადაწყვეტილი აქვს, მსაჯობაში პროფესიონალიზმის დანერგვა, მით უფრო, რომ ჩვენ ამ საკითხში უკვე მხარს გვიჭერენ იტალიის, ესპანეთის, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციები, ფეხბურთს უფრო ახალგაზრდა არბიტრები სჭირდება, რომლებიც ფიზიკურად კარგად იქნებიან მომზადებულნი. არბიტრი თავისუფლად უნდა მოძრაობდეს მოედანზე და... ინგლისურ ენასაც ფლობდეს..

**● ვინ იყო, თქვენის აზრით, საუკეთესო არბიტრი იტალიაში?**

**ჟ. აველანჟი:** საგანგებოდ ვერავის გამოვყოფ, მე მეტ-ნაკლებად ყველა მომეწონა...

**ი. ბლატერი:** რა თქმა უნდა, ბრაზილიელი ჟოზე რამიზ რაიტი. სხვათა შორის, ასეთივე აზრისა არიან ფეხბურთელები და მწვრთნელები.

**● ჩემპიონატამდე ბევრი ლაპარაკი იყო მაყურებლების უდისციპლინობაზე, მაგრამ ეს საკითხი, როგორც ჩანს, მაინც მოგვარდება.**

**ჟ. აველანჟი:** დიახ, მოგვარდა და უმეტესწილად, იტალიის უსაფრთხოების ძალთა მეცადინეობით, რისთვისაც ისინი საგანგებო მადლობას იმსახურებენ.

**ი. ბლატერი:** უნდა გითხრათ, რომ იტალიის პოლიციამ და უსაფრთხოების სამსახურმა ზუსტად შეასრულეს ჩვენი რეკომენდაციები. განსაკუთრებით გვეშინოდა ბრიტანული გულშემატკივრებისა, მაგრამ პრობლემები საბოლოოდ აქ არ გვქონია.

**● ხომ არ ნიშნავს, ეს, რომ დადგა ბრიტანული ფეხბურთის რეაბილიტაციის დრო?**

**ჟ. აველანჟი:** ამ საკითხზე პასუხის გაცემა ცოტა მიჭირს.

**ი. ბლატერი:** ერთი ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა „მოთოკვა“ უფრო ადვილია, ვიდრე კლუბების გულშემატკივრებისა. თუმცა, ბრიტანელებს, შეუძლიათ იტალიელთა გამოცდილების გადაღება.

**● როგორ ფიქრობთ, ეკუთვნის თუ არა აფრიკის ფეხბურთს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ერთი დამატებითი ადგილი?**

ჟ. ავελანჟისთვის ასეთი შეკითხვა არ დაუსვამთ.

**ი. ბლატერი:** ეს შეკითხვა ლოგიკურად მეჩვენება. ალბათ, დადგა დრო, რომ აფრიკას მესამე ადგილი გამოვუყოთ, თუნდაც ევროპის ხარჯზე.

# კახაბერ შენგელია და დავით უსტიაშვილი

**კალათბურთის** ფედერაციამ საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით დაამტკიცა უძლიერეს მოთამაშეთა სიები სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების შესრულებაში. ამ სიებში მოხსენებული არიან თბილისის დინამოელები — კახაბერ შენგელია (სამჯერ) და დავით უსტიაშვილი.

შენგელია მეოთხე ადგილზეა სნაიპერთა შორის (6 შეხვედრაში — 147 ქულა), მეხუთეზე — ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში (6 მატჩში, 57-ჯერ დაეუფლა) და მესამეზე — თამაშიდან ბურთის ჩაგდებაში (87 სროლიდან 61 შედეგიანი). უსტიაშვილს მესამე მაჩვენებელი აქვს შედეგიან პასებში (6 მატჩში 26 ასეთი გადაცემა).

გამარჯვებულთა შორის კი არიან:

გ. ვეტრა (ვეფ-ი) — ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი (6 მატჩი, 248 ქულა).

ვ. ნოსოვი („ავტომობილისტი“, სარატოვი) — ფარიდან ასხლეტილი ბურთები (9 მატჩში — 110)).

ს. ბაბენკო („კალევი“) — თამაშიდან კალათში სროლა (40 სროლა — 31 მოხვედრა).

ვ. ტარანოვი („კრასნი კოტელშჩიკი“, ტაგანროგი) — სამქულიანი სროლები (8 მატჩში — 10 ზუსტი სროლა).

ო. მელეშჩენკო (ასკ, ალმა-ათა) — შედეგიანი პასები (სამ მატჩში — 18).

ი. ქუკანენკო (ასკ, ალმა-ათა) — გადაცემების ჩაჭრა (3 მატჩში — 12).

ი. პუშკარიოვი („სპარტაკი“, ლუგანსკი) — ეფექტური ბლოკი (9 მატჩში — 17);

ზემოაღნიშნულის გარდა კახაბერ შენგელიას საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ერთ მატჩში ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში — 24.

## „ბაიერნი“ — საბჭოთა ნაკრები

კვირას მიუნხენში გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილ საკლუბო გუნდს „ბაიერნსა“ და საბჭოთა ნაკრებს შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცემა სსრ კავშირის ეკონომიკური დახმარების ფონდს.

# მაია ჩიბურდანიძე — რობერტ ჰიუბნერი

**კიოლნი.** მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე ვერ გავიდა გერმანიის თასის ფინალში, რომელშიც, ტრადიციულად, მხოლოდ ვაჟები მონაწილეობენ (მაია ამ ტურნირში ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ). მეოთხედფინალის ცენტრალურ მატჩში იგი შეხვდა შარშანდელი ასპარეზობის ჩემპიონს, დიდოსტატ რობერტ ჰიუბნერს. ამ ორთაბრძოლის პირველმა სამმა პარტიამ, რომელიც საერთო ჯამში სამ საათს გაგრძელდა, უძლიერესი ვერ გამოავლინა, (მეორე, რეგლამენტის თანახმად, შემოკლებულ დროში ჩატარდა, მესამეში კი მეტოქეებმა ბლიცი გაითამაშეს). არადა, პირველი პარტია გერმანელმა დიდოსტატმა ცაიტნოტში დიდი გაჭირვებით გადაარჩინა, სამაგიეროდ, მეოთხე გადამწყვეტ პარტიაში ჰიუბნერმა გამოიყენა ჩიბურდანიძის უმნიშვნელო შეცდომა და გაიმარჯვა.

არტურ იუსუპოვი კი თომას კოხთან გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე, ლარი კრისტიანსენი (აშშ) და ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია). პირველმა სტეფან კინდერმანი დაამარცხა, მეორემ — ლოტარ ფოგთი (ორივე — გერმანია).

ნახევარფინალში ჰიუბნერმა მოუგო იუსუპოვს, კრისტიანსენმა — კორჩნოის, მერე კი გაიმართა ფინალი, სადაც კრისტიანსენმა დაამარცხა გერმანელი დიდოსტატი და პირველი პრიზი მოიპოვა.



გაბრიელა საბატინი — ცნობილი არგენტინელი ჩოგბურთელი ბევრს მოგზაურობს მთელს მსოფლიოში. ამას წინათ, მას შემდეგ, რაც იგი ამერიკის ღია ჩემპიონატში უძლიერესი გახდა, ჩილეს ეწვია. ამჯერად მიზანი შეჯიბრებაში მონაწილეობა არ ყოფილა. ჩილეში საბატინი მისი სახელობის ხუნამოს წარდგინების ცერემონიალზე ჩავიდა.

**მეცი.** საფრანგეთის ამ ქალაქში ტარდება ჩოგბურთელ ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: ანდრეი ჩერკასოვი, ანდრეი ოლხოვსკი, ვლადიმერ გაბრიჩიძე და დიმიტრი პოლიაკოვი. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი ამ ოთხეულმა საფრანგეთის ნაკრებს მოუგო — 3:0. ერთეულთა შეხვედრებში გაიმარჯვეს პოლიაკოვმა და ჩერკასოვმა, წყვილებში — გაბრიჩიძე-ოლხოვსკის დუეტმა.

საბჭოთა ჩოგბურთელები გავიდნენ ფინალში, სადაც მათი მეტოქე იქნება გერმანიის გუნდი, რომლის ღირსებას დაიცავენ: უდო რიგლევსკი, მიჰაელ სტიჩი და სხვები.

**მინსკი.** ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ყველა ვარსკვლავი“ მოიგო საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა. ფინალში მან პოლონეთის გუნდი დაამარცხა — 40:24.

**ვენა.** ფრენბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა თასის მეორე წრის მეორე მატჩი მოსკოვის ცსკა-მ

### ტელეტაიპი - მკითხველი

მოუგო ადგილობრივ „მემს“ — 3:0.

**ტოკიო.** ქალთა საერთაშორისო ტრადიციული მარათონი იაპონიის დედაქალაქის ქუჩებში დამთავრდა ჩინელი სტაიერის სე ლიხუას გამარჯვებით 2:33.04.

**ტანდერ-ბეი (კანადა).** მსოფლიო თასის გათამაშებას ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ლიდერობს ავსტრიელი ანდრეას ფელდერი — 54 ქულა. მანვე აქ მოიგო ეტაპიც 90 მეტრიან ტრამპლინზე (86,5 და 90,5 მეტრი).

**ბერნი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში — „ნისანის თასი“.

**მაცუმოტო.** მსოფლიო თასის გათამაშებაში ერთკილომეტრიან დისტანციაზე ციგურაობაში უძლიერესი იყო მინსკელი იგორ ჟელეზოვსკი (1. 13,35). 500 მეტრზე კი ყველას იაპონელმა ტოსიოკი კუროივამ აჯობა (37;0).

**შტუტგარტი.** მსოფლიოს ჩემპიონმა ტანვარჯიშში ქალთა შორის მინსკელმა სვეტლანა ბოგინსკაიამ აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა. გამარჯვება და მთავარი პრიზი (10 ათასი მარკა) უნგრელ ჰენრიეტე ონოდის ხვდა.

**ვენა.** 10 კილომეტრზე თხილამურებით რბენა მსოფლიო თასის პროგრამით ქალთა შორის იტალიელმა სტეფანია ბელმონდომ მოიგო. ვაჟებში გამარჯვებული ნორვეგიელი ტორგნი მოგრენი გამოვიდა.

**ამსტერდამი.** პროფესიონალ საგზატკეცილო ველოსიპედისტთა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ნაყიდი ჰყავს იაპონურ ფირმას „პანასონიკს“. კლუბის ხელმძღვანელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უძლიერეს სპორტსმენებს აგროვებენ. მათ უკვე შეიძინეს ლენინგრადელი ველოსიპედისტი, მსოფლიოს ჩემპიონი ვიაჩესლავ ეკიმოვი, ამ დღეებში კი კონტრაქტი გააფორმეს ბელგიელ მოყვარულთან, ასევე მსოფლიო ჩემპიონ რუდი დანენსთან. ერთი სეზონის განმავლობაში 29 წლის „ვეტერანი“ ხელშეკრულების თანახმად 175 ათას დოლარს მიიღებს.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# „ცალ კარში“ თამაში!

**მას შემდეგ**, რაც ნოვი სადის ოლიმპიადა დამთავრდა, ბევრმა დიდოსტატმა და საჭადრაკო ექსპერტმა კვლავ მსოფლიო პირველობის მატჩს მიაშურა. ლიუბომირ ლიუბოვიჩმა, რომელიც ნიუ-იორკში ესწრებოდა ორთაბრძოლას, მეთვრამეტე პარტიის მსვლელობისას წამოიძახა: „კარპოვის პოზიცია სრულიად უიმედოა!“ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელიც თავიდანვე აშუქებს მატჩს, მიუგო: „დავიცადოთ, ასეთები მომხდარა?!“

თავიდანვე ვიტყვით: მეთვრამეტე პარტია, ფაქტობრივად, „ცალ კარში“ თამაშს ჰგავდა და ალბათ ერთ-ერთი უსუსტესია კარპოვის მიერ ჩატარებულთაგან.

შოტლანდიური პარტიის ორგზის „შემოწმების“ შემდეგ კასპაროვი ისევ თავის საყვარელ ესპანურ პარტიას დაუბრუნდა. თითქოს შავებს საკმარისი კონტრთამაში ჰქონდათ. მათ დათმეს თუ შეწირეს პაიკი და განავითარეს თავიანთი ფიგურები, მაგრამ სვლა სვლას მისდევდა და გამოირკვა, რომ კასპაროვის მუქარა ლაზიერის ფრთაზე რეალური გახდა. მსოფლიო ჩემპიონი თანახმა იყო მეტოქისათვის პაიკი უკანვე დაებრუნებინა, თან კი ამასობაში შავების მთელ ფრთას აკლებით ემუქრებოდა. საინტერესოა, რომ ერთ სვლაზე ექსჩემპიონი 50 წუთით ჩაფიქრდა, რაზეც პრესცენტრში მისმა მომხრეებმა სევდიანი იუმორით თქვეს: „უარესსა და კიდევ უფრო უარესს შორის რაღაცას ირჩევს“. დიახ, საქმე ის იყო, რომ შავების პოზიციას ნამდვილად ბზარი გაუჩნდა. კასპაროვმა არამარტო შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი, არამედ დიდი პოზიციური უპირატესობაც მიიღო. რაც მთავარია, მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ჩემპიონს რეალიზაციის ნათელი გზა ჰქონდა, მისი პოზიციის გაუარესებას რაღაც „განსაკუთრებული უნარი“ სჭირდებოდა — ე. ი. ზედიზედ რამდენიმე შეცდომა, რაც კასპაროვისგან, ცხადია, ძნელი წარმოსადგენი იყო.

პარტია გადაიდო კასპაროვისათვის. მოსაგებ პოზიციაში და მან გაიმარჯვა კიდეც — ანგარიში გახდა 9,5:8,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

# მატჩის ირგვლივ

## კამსკი კარპოვის გულშემატკივარია

16 წლის გატა კამსკიმ, რომელიც ბევრ მიმომხილველს მსოფლიო ჩემპიონობის მომავალ პრეტენდენტად მიაჩნია, განაცხადა, რომ იგი კარპოვის გულშემატკივარია, მაგრამ არ იცის, ვინ მოიგებს ამ მატჩს. ახალგაზრდა დიდოსტატმა ისიც დასძინა, რომ „ოდესმე“ გარი კასპაროვთან მოუხდება შეხვედრა.

## დიდი ბრძოლა ბუნდოვანი შესაძლებლობებით

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საჭადრაკო მიმომხილველმა, ცნობილმა დიდოსტატმა, ერთ დროს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩების მონაწილემ რობერტ ბირნმა აღნიშნა: „ეს მატჩი ისტორიაში შევა, როგორც მეტისმეტად საბრძოლო, რაც შეეხება საბოლოო შედეგს, ეს საკითხი კვლავინდებურად ბუნდოვანი რჩება.

## „ვისი კაცია“ გელერი?

მატჩზე უამრავი დიდოსტატის ყოფნა გულშემატკივრებს აფიქრებინებს, რომ ისინი არ იფარგლებიან მხოლოდ ჟურნალისტური საქმიანობით და მეტნაკლებ დახმარებას უწევენ რომელიმე მხარეს.

როგორც დიდოსტატმა ეფიმ გელერმა არაერთ შეკითხვაზე უპასუხა, იგი მატჩს ესწრება ცნობილი ინგლისური გამომცემლობის „პერგამონ-პრესის“ თხოვნით, რომლისთვისაც წიგნს წერს. კარპოვის „შტაბის“ წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ „პერგამონ-პრესი“ აქ არაფერ შუაშია და გელერი, უბრალოდ, კასპაროვის ერთ-ერთი მრჩევლის ფუნქციებს ასრულებს. გამოთქვამენ აზრს, რომ შეიძლება კასპაროვი სწორედ გელერის რჩევით დაუბრუნდა ძველინდურ დაცვას, რომელზეც ადრე ხელი აიღო და გრიუნფელდის დაცვას ამჯობინებდა.

აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ გელერი მსოფლიოში ძველინდური დაცვის ყველაზე დიდ სპეციალისტად ითვლება — მას ეკუთვნის არაერთი მონოგრაფია ამ დაცვაზე.

## სხვანაირად ვერც იფიქრებს

კასპაროვის „შტაბის“ ერთ-ერთმა წევრმა, საერთაშორისო არბიტრმა ვლადიმერ დვორკოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში აზრი გამოთქვა ორთაბრძოლის მიმდინარეობის შესახებ.

— კასპაროვის შესაძლებლობები მატჩის მეორე ნახევარში იზრდება. იგი ჯერ სათანადო სიძლიერით ვერ თამაშობს, მაგარამ ისიც ცნობილია, რომ, რაც უფრო მოახლოვდება ხოლმე ფინიში, მსოფლიო ჩემპიონი მეტი ძალით იწყებს მოქმედებას. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ იგი შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

## უკანასკნელი, მაგრამ ვისთვის?

კასპაროვი და მისი მომხრე ჟურნალისტები მატჩის დაწყებამდე და პირველი ნახევრის მიმდინარეობის დროს ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ეს უკანასკნელი ორთაბრძოლაა მსოფლიო პირველობაზე კარპოვის მონაწილეობით.

ამასთან დაკავშირებით კარპოვმა განაცხადა.

— დიახ, ეს უკანასკნელი მატჩია მსოფლიო პირველობაზე... კასპაროვის მონაწილეობით. დარწმუნებული ვარ, როცა ამ მატჩს წააგებს, კასპაროვი ფსიქოლოგიურ დარტყმას ველარ გადაიტანს. მე ძალიან ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან სევილიაში. როცა უკანასკნელი პარტიის წინ ანგარიში იყო 12:11, უკანასკნელ პარტიაში კი კასპაროვი გადარჩა, ბედმა გაუღიმა. ჩემს ძალაზე და სიმტკიცეზე თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი უპირატესობით მოვიგე პრეტენდენტთა მატჩები. ამ ორთაბრძოლას რომ წააგებს, კასპაროვი საერთოდ ჩამოშორდება მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლას, მას ამისათვის ძალა და ენერგია უკვე აღარ ეყოფა.

## როგორ გამოიყენებენ ფულს?

როგორც ცნობილია, კარპოვი და კასპაროვი მატჩის დამთავრების შემდეგ პრიზის სახით დიდ თანხას მიიღებენ. როგორ აპირებენ ისინი მილიონობით დოლარის გამოყენებას?

როგორც ბერლინის ჟურნალ „შახის“ კორესპონდენტი შტეფან ლიოფლერი იუწყება, კასპაროვი თანხის დიდ ნაწილს გადასცემს რუსეთის დემოკრატიულ პარტიას — იგი ხომ ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილეა. რაც შეეხება კარპოვს, მან გადაწყვიტა თანხის ნაწილი ჩერნობილის ავარიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში შეიტანოს.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 48-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.441.771 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (102) მოგება 424 მანეთია, ოთხისთვის (2.848) — 22, სამისთვის (36.823) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 38.116 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—43, 3—894.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 16.237.055 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (12) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.738) — 171, სამისთვის (166.944) — 9.

საქართველოში: დაშვებულია 388.985 ვარიანტი. 5—1 (ხობი), 4—111, 3—3.781.

48-ე და 39-48 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 22 დეკემბრიდან 1991 წლის 22 იანვრის ჩათვლით,

• • •

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1990 წლის 49-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი), 39 (ბადმინტონი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 17 (საციგურაო სპორტი), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 34 ბალახის ჰოკეი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 48-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3. 245. 435 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (106) მოგება 459 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (3. 445) — 28 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (37.815) — 9 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულუია 160. 275 ვარიანტი. 13-7, 12-202, 11-1. 581

48-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 22 დეკემბრიდან 1991 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები მ. ძძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„მერანი“ — 98-97-20, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20